ვაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, აგჯალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1893


8 ნოემბერს გარდაიცვალა
**კნეინა სოფიო აბრამის ასული თუმანიშვილისა.**
შვილნი მისნი: **ანასტასია მიხეილის ასული წერეთელი** და თთ. **გიორგი, ვასილ და კონსტანტინე მიხეილის ძენი თუმანიშვილნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა მის გარდაცვალებას. პანაშვიდი—ოთხშაბათს 10 ნოემბერს, საღამოს 6 საათზედ. გამოსვენება დანიშნულია (საკუთარის სახლიდამ ბარიათინსკის ქუჩა) ვანქის სობოროში და იქიდამ ხოჯივანქის სასაფლაოზე— ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, დილის 10 საათზე. (1—1)

---

დაიბეჭდა ხელმეორედ და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**კრილოვის არაკები**

თარგმანი აკაკისა

ეს წიგნი მოწონებულია სამოსწავლო მთავრობისაგან სკოლების ბიბლიოთეკებისათვის და მიღებულია ხელსაწყობად ქართულის ენის შესასწავლად.

იმავე წიგნის მაღაზიაში იყიდება ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა ფ. 3 მ. 60 კ. და სურათი დ. ჩუბინაშვილისა ფასი 20 კაპ. (6—1)

---

გამოვიდა და ისყიდება ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

**არაკები** სიბრძნე-სიცრუიდგან ყრმათათვის. ფასი 25 კაპ.

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა **სიბრძნე-სიცრუვე** საბა-სულხან-ორბელიანისა. ფასი 75 კაპ.

იგივე კარგ-ქაღალდზედ 1—50 კ. (3—0—3)

---

თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა და საზოგადო კრებისა წევრთ საზოგადოებისას „მიხეილის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკი ქუთაისში“ ამით აუწყებს ბ.ბ. წევრთა ამა საზოგადოებისა, რომ 10 დეკემბერს 1893 წლისას დანიშნულია მისგან ბანკის სადგომში სხდომა საზოგადო კრებისა განსახილველად მორიგის საქმეებისა, რომელნიც უნდა განეხილა ამა წლის მაისის თვეში შეჩერებულს საზოგადო კრებას სახელდობრ: ამორჩევად თანამდებობის პირთა: ზედამხედველის კომიტეტის წევრთა, გამგეობის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა კანდიდატებისა.

თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა და საზოგადო კრებისა თავადი ალექსანდრე წულუკიძე

---

## ტფილისი, 10 ნოემბერს

წარსულს ხუთშაბათს გამოვიდა პირველი ნომერი ახალის სამეურნეო გაზეთისა „Кавказское Сельское Хозяйство“, ჩვენის სამეურნეო საზოგადოების თთვიურ ჟურნალის მაგიერ, რომელიც ამ სახით საკვირაო გაზეთად გადაკეთდა. ამ გვარად განხორციელდა ის აზრი ბ-ნ ვერმიშევისა, რომელზედაც ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ამ რამდენისამე დღის წინად. ახალი გაზეთი იბეჭდება კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

თუმცა უკვე განსვენებულს ყოველ თთვიურ ჟურნალს თავისი ღირსება ჰქონდა, მაგრამ, ეჭვი არ არის, რომ ესეც თავის მნიშვნელობას არ იქმნება მოკლებული და ახალი გაზეთიც უფრო ხშირად, ვიდრე ჟურნალი, ესე იგი, ყოველ კვირაში ერთხელ, მიაწვდენს ხმას ჩვენის სოფლის მეურნეს, ფიქრს გაუღვიძებს და მხნეობას მოუმატებს. პირველ ნომრის მეთაურს წერილში რედაქცია ამბობს, რომ ახალს გაზეთს უმთავრეს აზრად აქვს, დაუახლოვოს და მკვიდრად შეუკავშიროს სამეურნეო საზოგადოება მეურნეს, ქალაქი — სოფელს, სწავლა-მეცნიერება—პრაქტიკასაო. «საზოგადოებას» უნდა ამ გაზეთის შემწეობით დაუახლოვდეს ჩვენის სოფლის ცხოვრებას, გაიგოს მისი მრავალ-გვარი ვარამი და გაჭირება და ხელმძღვანელობა გაუწიოს მეცნიერების მეოხებით. ამ ახალს გაზეთს ის დიდი ღირსება ექმნება, რომ შეეძლება ყოველ იმ საგნის შესახებ, რითაც-კი შეწუხებულია დღეს სოფლის მწარმოებელი, ლაპარაკი ჩამოუგდოს მოკლესა და ადვილად გასაგებს წერილებში და ყოველ გვარი საჭირო დარიგება მისცეს, შემწეობა გაუწიოს „საზოგადოების“ ძალ-ღონით.

სწორედ დიდი წყალობა იქმნება ჩვენის ქვეყნისათვის, თუ სამეურნეო საზოგადოება მოახერხებს და მართლა ხელმძღვანელობას გაუწევს ჩვენებურს მეურნეს, თავის დროზედ ჯეროვანს სამეცნიერო რჩევა-დარიგებას მიაწვდის გაჭირვებულთ.

წინა წერილში ვსთქვით, რომ ჩვენს „საზოგადოებას“ თითქმის არავითარი კავშირი არა აქვს მეურნეობასთან და წევრნი, ვინც-კი კრებაზედ ესწრებიან, თითქმის სულ მოხელენი არიან, რომელთაც სამეურნეო პრაქტიკისა ბევრი არა იციან-რაო. ეხლა ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ სამეურნეო მეცნიერების გავრცელება-კი არ არის ძნელი საქმე, ძნელია მეცნიერების რჩევა და დარიგება შეუფარდოს და შეუწონოს კაცმა იმ მიწა-წყალის ვითარებასა და გარემოებას, რომელშიაც მეურნე მეურნეობს და მუშაობს. იმერეთში, მაგალითად, იქაურ მიწა-წყალისა და ჰავის თვისების მიხედვით, ერთის უღელის ხარითა ჰხნავენ სულ $1^1/_2$—2 ვერშოკის სიღრმეზედ; კახეთში-კი ხვნას რვა უღელი ხარ-კამბეჩი უნდა, რომ 6—8 ვერშოკის სიღრმეზედ დავიდეს გუთანი და ამ სიღრმეზედ აბრუნოს ბელტი ბელტზედ. ესევეა სხვა სამეურნეო მუშაობაშიაც. ყოველივე მუშაობა მეურნისა უნდა შეეფერ-შეეწონებოდეს მიწა-წყალის გარემოებასა და ჰავის ვითარებას. უამისოდ ჯაფა და ამაგი ამაოდ ჩაივლის. კახეთში რომ იმერეთის კავით მოჰხნათ, არავითარი მოსავალი არ მოვა. მოკლედ რომ ვსთქვათ, ვისაც მეცნიერების სხვა-და-სხვა დარიგებანი გამოცდილი არა აქვს თავის ადგილ-მამულში, ის ვერაფერს ხელმძღვანელობას ვერ გაუწევს თავის ქვეყნის მეურნეს. სწორედ ამ გვარს გამოცდილებას არის მოკლებული ჩვენი „საზოგადოება“ და ადვილად შესაძლებელია, რომ მრავალ გვარ პრაქტიკულ საკითხს ახლად დაარსებულ გაზეთის რედაქციამ პირდაპირი პასუხი ვერ მოუხერხოს, რადგანაც იმას არა აქვს უმთავრესი რამ—საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება.

წამალი ჩვენის სოფლის მეურნეობის აღორძინებისა თვით სოფელში უნდა მოვსძებნოთ და საქმე სოფლიდგან უნდა დავიწყოთ. ვიდრე სამეურნეო საზოგადოება რამდენსამე ადგილს მაინც გამოსაცდელს სადგურებსა და მინდვრებს არ დააარსებს და მათის წყალობით საჭირო პრაქტიკულს გამოცდილებას არ შეიძენს, მანამდე იგი ჯეროვან ხელმძღვანელობას ვერ გაუწევს ჩვენს მეურნეობას.

გაზეთი სარგებლობას მოუტანს მხოლოდ იმ ზოგიერთ საგნის გამორკვევას, რომელსაც ადგილობრივი გამოცდა არ უნდა, თუ-კი, რასაკვირველია, ენის მხრით დაბრკოლება არ მიეცა: რუსული ენა ძალიან ნაკლებად არის გავრცელებული ჩვენს სოფლებში.

ვერც ახლად შემოღებული „სამეურნეო მუსაიფი“ გააწყობს რასმე. წევრნი-მოხელენი მარტო თეორიულის ინტერესით უცქერიან მეურნეობას და არც-კი იციან, სოფელში რა ამბავია. განათლებულნი მეურნენი ძალიან ნაკლებად არიან ჩვენში და, ვინც არიან, ისინიც თავიანთს სოფელს არა სცილდებიან. თითქმის მთელს თავად-აზნაურობას თავისი მამულები სადალალოდ აქვს მიცემული და რთულისა და მძიმე მიზეზების გამო თითონ ვერა ჰკიდებს ხელს მამულის შემუშავებას.

ბოლოს ის გამოდის, რომ ერთად-ერთი ნამდვილი მეურნე ჩვენში ისევ გლეხია და, თუ ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას უნდა დახმარება გაუწიოს მეურნეობას, უნდა იზრუნოს საკუთარი, პრაქტიკული გამოცდილება შეიძინოს და იმის წყალობით გლეხ-კაცობას დახმარება გაუწიოს.

ნიკ. კავკასიძე

## ახალი ამბავი

*** ბათუმიდგან დეპეშით გვაცნობებენ, რომ იქ გუშინ დილით, 9

---

# ფელეტონი

**არა მკითხე რევიზორის შენიშვნები**

კვირა დღეა. დიდებულმა მანათობელმა, როგორც ყოველთვის, დღესაც უხვად გაიმეტა თვისი მაცოცხლებელი სხივი, —უხვად მოჰფინა მთელს დედამიწას სულის ჩამდგმელი სითბო და სინათლე, უნათებს იმათაც, ვინც დილით იმ განზრახვით დგება, რომ საღამომდის ვისმეს მზე დაუბნელოს. საკრეჭიის არე-მარეს თითქმის ფერი დაედო. მზის მაცოცხლებელმა სხივებმა გაალვიძა ღამის ბინდით გაშეშებული ბუნება, სამოქმედოთ გამოიწვია ყოველი სულდგმული, ყველა ერთხელვე აჩემებულს საქმეს შეუდგა. ფრინველებმა საამურის ჭიკჭიკით დაატკბეს სმენა, ოქროს ერთმანეთს ეჯიბრებოდენ, რომელი უფრო ძლიერად შევასხამ ქებას ბუნებასაო. ფუტკარი ისარივით გაეშურა ყვავილებისაკენ; ამის სწრაფს ფრენაში რაღაც სიამაყე და სიბრაზე იხატებოდა, თითქოს მეუბნებოდა: „შენ ეი, ორფეხა სულდგმულო, ქმნილებათა გვირგვინო! მე ხომ მწერი ვარ, მაგრამ მეც-კი მარტო ჩემთვის არ ვშრომობო“. ობობამ მოიმარჯვა ქსლის უკანასკნელი ძაფი და იქვე ფოთლებში ჩაესაფრა; სოფლის მედუქნემაც გააღო თავისი დუქანი, სათვალო ადგილას გამოჰკიდა სხვა-და-სხვა ჭელაჭულები და ნამძინარევის ხმით იწვევს მუშტარს. აგერ გამოჩნდა მთელი გუნდი მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა; ესენი ეკკლესიისაკენ ეშურებიან და დიასახლისის მიერ ჩამოქნილს წმინდა სანთელთან ერთად მსხვერპლად მიაქვთ უზომო მოთმინება, ათასის ჭირვარამით დადაღული, მაგრამ წრფელი გული. ამათ მთელი ექვსი დღე იშრომეს, უდრტვინველად ასრულეს ღვთის მცნება, რომელმაც შრომით უბრძანა ლუკმა-პურის მოპოვება, მთელი ექვსი დღე რწყეს თავისი ოფლით დედამიწა, ერთხელაც ზევით არ აუხედნიათ და ეხლაც ისე თავჩაქინდრულნი მიდიან, თითქოს, რაც ქვეყანაზე სიგლახე ხდება, ყველაში ანგარიშს იმათ სთხოვენო. ვიცი რომ ასეთის სინანულით შევლენ ესენი ეკკლესიაში, სინანულით მოუყრიან მუხლს მათთვის ჯვარცმულს მაცხოვარს; ამათი ლოცვა მოკლე იქმნება, მაგრამ ძლიერი. „ღმერთო მილხინე მე ცოდვილსა, ამ ქვეყნად გაჭირვებულს, მანდ, ცაში მაინც ნუ დამიკარგავ ტკბილს ბინასო“, თრთოლით წარმოსთქვამს ამათი მზით დამწვარი ტუჩები. მწამს, რომ დიდი ძლიერება აქვს ამათ ლოცვას, ღმობიერად მარტო ამათ თვალებს შეეყრება ტკბილი იესოს თვალები; მწამს, რომ ღმერთი გაუწევს ამათ მფარველობას, სადაც არის მათი საათიც დაჰკრავს და, თუ დღეს წყეულ ვითარების მეოხებით ათასი საეჭვო ხელობის ადამიანი ფართიფურთობს მათ გვერდით, ხვალე ეს ასე არ იქმნება, რადგან ამ უკანასკნელთა სახლი ქვიშაზე აგებულია, მაშინ, როცა მუშის საქმე, სიმართლესთან, ჭეშმარიტებასთან არის დაკავშირებული. აგერ ვაიძვერა ხრიკაძეს შეუკაზმავს თვისი ბაჩა, დინჯად მოუსვენებია მოჭედილი უნაგრის ტახტზე თავისი ღიპი და მიეშურება „კლიენტისაკენ“. აღთქმულ წიწილიანების ასაღებად; ქორს, ძერას და სხვა მტაცებელთ დაუგდიათ მახლობელი მთა, ცის სივრცეში შეუტოპავთ და სოფელს თავს დასტრიალებენ, იქმნება ჩვენს საკბილოს რასმე შევასწროთ თვალიო. მე, კეთილაძე და ახლად გაცნობილი მასწავლებელი მადლიანიძე ვადგევართ საკრეჭიის ერთს შარა-გზას და გზის შესამოკლებლად ათას რამეზე ვსაუბრობთ.

— ნეტავი ამ სოფელს რად დაერქვა საკრეჭია? დავეკითხე მადლიანიძეს ბაასის განსაგრძობად.

— ალბად მიტომ, ჩემო კეთილო, რომ ამ სოფლის მკვიდრნი ყოველთვის გემრიელი ლუკმანი ყოფილან და დღესაც გემრიელი ლუკმანი არიან ყველასათვის; ყველას საკრეჭ ფარად ეგულებოდა ესენი. წინად ხომ ბატონები ჰკრეჭდნენ ამათ და ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ახალის გვარის ბატონებს მიუშვირეს ზურგი, ეხლა იმათ ეჩაგვრებიან.

— ეჰ, თქვენ მაგ ფილოლოგობას თავი დაანებეთ, სთქვა კეთილაძემ. თქვენ ის მითხარით: დიდხანს გასტანს ასეთი ყოფა? შეიძლება რამ წამალი დაედოს ასეთს სატკივარს? მე ძლიერ მალონებს სოფლის უნუგეშო მდგომარეობა; მტერი და მოყვარე ვერ გაურჩევიათ ამ დალოცვილებს. ქათამი რაა, ქათამი, ისიც-კი ქორის დანახვაზე ჩირგვს შეეფარება; არა, შეხედეთ—კეთილაძემ მართლა მიგვიშვირა ხელი ჩირგვში განაბულს ქათამზე—რა რიგად ცდილობს, თავი დააღწიოს მტაცებლის კლანჭებს და

ნოემბერს, ნავთის ქარხნებს ცეცხლი გასჩენია—იწვის ქარხნები ბახოვსკისა, შაჰბაზოვისა, ანგელიდი სა და კრისანისა.

*** რკინის გზის სადგურ ყვირილაში, 8 ნოემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზედ ტფილისიდგან მიმავალი საქონლის მატარებელი № 45 დაეტაკა ისართან მდგომ მუშა მატარებელს. ორთქლ მავალები ორივ მატარებლებისა ლიანდაგს გადასცდა, და საკმაოდ დაზიანდა. მიზეზად უფროს მეისრეს და მანქანის მოხელეთა გაუფრთხილებლობაა. ადამიანთაგანი არავინ დაზიანებულა.

მატარებლების სიარული ექვსის საათის განმავლობაში შეწყვეტილი იყო.

*** უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორმა გაუგზავნა ყველა ეპარქიების უფროსებს ცირკულიარი შესახებ საეკლესიო მამულის მფლობელობისა.

ცირკულიარში მოხსენებულია გარდაწყვეტილება სენატისა, რომელმაც ს. ბოროვიცკის ეკლესიის (ვიატკას გუბერნიაში) კრებულის საჩივრისა გამო, გარდასწყვიტა და განუმარტა ყველა სასამართლოებს, რომ ყოველი საეკლესიო უძრავი ქონება, როგორც ნასყიდი, შეწირული, ანუ მთავრობისაგან ნაბოძები, აგრედვე ეკლესიისთვის დათმობილი კრებულის მოსახმარად, არ ექვემდებარება ათის წლის მფლობელობის კანონს.

ამ გარდაწყვეტილების ძალით,— ნათქვამია ობერ-პროკურორის ცირკულიარიში,—სასულიერო დაწესებულებათ ნება აქვთ მოითხოვონ განდევნა საეკლესიო მამულიდგან უკანონოდ მიწის მფლობელისა, მიუხედავად იმისა, შეიძინა იმან ათის წლის მფლობელობის საბუთი თუ არა, თუ-კი კრებულსა და ამ კერძო მფლობელს შორის დავა არა ყოფილა სასამართლოში, რადგანაც ამ შემთხვევაში სასამართლოს განაჩენს, უკვე ძალაში შესულს, კანონის ძალა აქვს ამისთანა საქმეში.

რადგანაც უწმ. სინოდის სამმართველოში მრავალი ცნობანია იმის შესახებ, რომ საეკლესიო მამული კერძო კაცთ დაუჩემებიათ ბევრს ეპარქიაში, მეტადრე დასავლეთ რუსეთში, და სასულიერო უწყება დავას არ იწყებდა იმ შემთხვევაში, თუ საეკლესიო მამული ათის წლის განმავლობაში სხვის მფლობელობაში არის, მოხსენებული ცირკულიარი ავალებს ეპარქიების უფროსთ იხელმძღვანელონ უმართებულესი სენატის გარდაწყვეტილებით და იმ შემთხვევაში, როდესაც საეკლესიო მამული ანუ უძრავი ქონება კერძო კაცების ხელშია ათის წლის განმავლობაში და სასამართლოში-კი დავა არა ყოფილა, განკარგულება მოახდინოს, რომ იმ ეკლესიის კრებულმა, რომლის მამულიც სხვას დაუჩემებია, დაიბრუნოს ეს მამული ან დამჩემებლის ნება-ყოფლობით ან არა და სასამართლოში თავის გამოცხადებით, რომ კრებულს აღედგინოს დარღვეული უფლება მფლობელობისა და განდევნილ იქმნას საეკლესიო მამულიდგან უკანონოდ მფლობელი.

## ქართული თეატრი

ღარიბ-ღატაკნი, დრამა 5 მოქმ. და 7 სურათად, თარგმანი ვალ. გუნიასი.

თამარ-ბატონიშვილი, მეოთხე მოქმედება დრამიდგან.

წარსულს კვირას, 7 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა განიმეორა ხუთ-მოქმედებიანი და შვიდ-სურათიანი დრამა „ღარიბ-ღატაკნი“, პირველად შარშან წარმოდგენილი ჩვენსავე სცენაზედ, და მეოთხე მოქმედება დრამიდგან „თამარ-ბატონიშვილი“. ამ უკანასკნელ პიესის შესახებ არაფრის თქმას არა ვსთვლით საჭიროდ, რადგან ამ პიესას კარგად იცნობს ქართველი საზოგადოება.

მეორე პიესა «ღარიბ ღატაკნი» უფრო მელოდრამაა და მართლაც უტყუარი სურათია, შეიძლება ცოტა მეტად ფერადის წამლით დახატული, პარიჟის ღარიბ-ღატაკთა ცხოვრებისა, ამ აწინდელ ბაბილონისა, სადაც საზღვარგადასულ სიმდიდრესთან თავს იცავს და იფარავს უკიდურესი, სწორედ შესაზარი სიღარიბე. დიაღ, პიესა პარიჟის ცხოვრებიდგან იღებს სურათებს, თვით გლახაკნიც-კი ამ პიესაში ფრანგულის ბუნების შესაფერად გლახაკობენ და მათხოვრობენ, მაგრამ ღარიბნი და ღატაკნი მარტო პარიჟში არიან განა?.. ნასკვი, მრავლად გადაკვანძული, ხელოვნურად იხლართება და იხსნება ამ პიესაში და ამას გარდა სრული გამომხატველია არსებობისათვის ცხოვრების იმ ჭიდილისა, სადაც ადამიანნი ლუკმა პურის გამო ერთმანერთს ებრძვიან და სასიკვდილოდაც არ იშურებენ. პიესაში თითქმის არც ერთი ადამიანის გრძნობა არ არის დატოვებული აღუნიშვნელად: სიყვარული თავისდა თავად, სიყვარული ფულისა, მამაშვილური, დედა-შვილური, მეგობრული და სხ. პიესა დიდად სასიამოვნო საყურებელ-სასმენელია და ადამიანის გულსა და გრძნობაზედაც მეტად სასარგებლოდ ჰმოქმედებს, რადგან თვალ წინ უშლის მაყურებელთ ღარიბთა და ღარიბების ცხოვრებას, მრავალს წვრილმანს სიღარიბისას.

პიესაში ერთი ანუ ორი გამორკვეული გმირი არ არის, რომელმაც მთლად მიიპყროს საზოგადოების ყურადღება და რომელიც უფრო მწვავე დრამატიულს მდგომარეობაში იმყოფებოდეს. მთელი დრამატიზმი პიესისა თითქმის ყველა მომქმედთა აქვთ ცოტად თუ ბევრად განაწილებული. თუ გმირია ვინმე შინაარსით, ისევ გასტონი, დიუპონის ბუხჰალტერი, რომელიც მართლა თავის ნებაზედ ატრიალებს შინაარსის ავ-კარგიანობას და რომლის როლიც ისეთის შეუდარებელის ხელოვნებით წარმოგვიდგინა ბ-ნმა აბაშიძემ. ბ-ნმა ყიფიანმა საუცხოვოდ დაგვისურათა ბორდოს ბანკირის დიუპონის როლი, რომელსაც საშინლად უყვარს თავისი ქალიშვილი და, მეორეს მხრით, არაფერს, არავითარის ბოროტების ჩადენას არ ერიდება, ოღონდ-კი ცხოვრება თავისის საყვარელის შვილისა ქონების მხრივ უზრუნველი ჰყოს. ამ აზრით დიუპონი ბევრს ალის პირიდგან ლუკმა პურს, ბევრს აღარიბებს და აღატაკებს და ადამიანის მოკვლასაც-კი არ ერიდება. მართლაც, საოცარია ბუნება ადამიანისა, სადაც თვით უსაშინელესი ავაზაკობა ერთად თავსდება მამა-შვილურ ნაზ სიყვარულთან და ჰხარობს კიდეც, იშლება, იფურჩქნება. ქ-ნი ნებიერიძისა ცოტა რაღაც ნაირის უგუნებობით თამაშობდა დიუპონის ქალიშვილის ალიდას როლს. მისი როლი სიცოცხლეს მოკლებული გამოვიდა, მოშვებული, მისუსტებული. გრაფ შარლ დობინიე (ბ-ნი შათირიშვილი) რაღაც უცნაურის დაჟინებით იქნევდა მარჯვენა მკლავს, სულ ერთია, უბრალოს იტყოდა რასმე, თუ ბრალიანს. მისი მარჯვენა მკლავი მთელის დრამის განმავლობაში არ დაყენებულა და კედლის საათის ენასავით მიდიოდა და მოდიოდა. სასურველია, რომ რეჟისორმა ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, რადგან სცენაზედ რიგიანად თავის დაჭერა დიდი სიკეთეა არტისტისათვის. ვერაფრად სასიამოვნო საყურებელია, როდესაც არტისტი გამოდის სცენაზედ და არ იცის თავის ხელ-ფეხს რა უყოს და საით წაიღოს.

ყოველ სხვა მხრივ პიესამ მშვენივრად ჩაიარა, განსაკუთრებით მეექვსე სურათმა, სადაც ღარიბთა ცხოვრებაა გამოყვანილი. ამ გვარი პიესები ჩვენს საზოგადოებას ძალიან მოსწონს და სასურველია, რომ კიდევ რამდენჯერმე იქმნას წარმოდგენილი.

გარდახვეწილი

## დამაკვირდი

გვირგვინ-მოსილს ის სჯობია, ვინც ღირსია გვირგვინისა.

**

ჭეშმარიტის დიდებისათვის სხვისი დამცირება საჭირო არ არის.

**

შეცდომა თვისებაა ადამიანისა, ხოლო მოტევება—ღვთისა.

პოპი

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ნება გვიბოძოთ, უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ თქვენის გაზეთის შემწეობით მისსყოვლად უსამღვდელოესობას გორის ეპისკოპოსს და საქართველოის ვიკარის ალექსანდრეს, რომელმაც კიევის ქართველ სტუდენტების წიგნთსაცავს შემოსწირა თითო ეკზემპლიარი თავის გამოცემებისა, რიცხვით ექვსი წიგნი: 1, „მზამეტყველება“ ანტონ კათალიკოზისა 2, „ქართული გრამმატიკა““ მისივე 3, „ქართული ლექსიკონი“ საბა-სულხან-ორბელიანისა 4, „Краткій Грузино-Русско-Латинскій Словарь» რაფიელ ერისთავისა 5, „სიტყანი და მოძღვრებანი“ ამბროსი ნეკრესელისა და 6, “ხმა ცოდვილისა ღვთისადმი« გ. ავალიშვილისა, სულ ერთი თუმნის (10 მან.) წიგნი. იმედს არ ჰკარგავს კიევის ქართველი სტუდენტობა, რომ ჩვენს შეგნებულს საზოგადოებაში სხვანიც აღმოჩნდებიან, რომელნიც მიბაძავენ კეთილს მაგალითს ყოვლად სამღვდელოისას და თავიანთ წვლილს არ დაიშურებენ ჩვენის ნორჩის წიგნთ-საცავისათვის.

კიევის ქართველი სტუდენტები

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჟურნალი „Сѣв. Вѣст.“ სწერს ფრანგ-რუსთა დღესასწაულების შესახებ:

მართალია, რომ უმაღლეს წოდებაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გრძნობას, არამედ უფრო ანგარიშს. ამ წოდებაში კარგად იციან, რომ მე-XIX საუკუნის დამლევს როგორღაც არ უხდება საპოლიტიკო არშიყობა. ფრანგ-რუსთა კავშირი სწორედ რომ mariage de raison-ია (ქორწინება ანგარიშით). საყურადღებოა, რომ ფრანგ-რუსთა დღესასწაულებს რუსეთის კონვენცია მოჰყვა და შორს არ არის ის დრო, როცა რუსეთი კიდევ ფულს ისესხებს (1888 წლიდგან რუსეთს ეს ჯერ რვაჯერ უსესხნია ფული, სულ 3 მილიარდამდე). მიუხედავად ამისა, საფრანგეთის მდაბიო ხალხი დიდის სიხარულით მიეგება დღესასწაულებს. საფრანგეთი ერთს წამს გარუსდა.

## რუსეთი

რუსეთის ცნობილი მწერალი გლებ უსპენსკი, რომელიც დიდხანს ავად იყო, გაზეთ Волж. В.-ის სიტყვით, ეხლა კარგად არის და პეტერბურგს მიდის საცხოვრებლად, სადაც ისევ სალიტერატურო შრომას შეუდგებაო.

—

ელეცის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა კრებას:

„მოვლენ ხოლმე ისეთნი,—და როგორღაც უფრო ხშირად ამ ბოლო დროს,—რომელნიც გაბრაზებითა ჰკიცხავენ, ანუ დაცინვის კილოთი იხსენიებენ რეფორმების დროს. მე-კი ყოველთვის ოფლს მასხამს და გულს მიხუთავს, წარსული-კი არა, აწინდელი დრო და ის საზოგადოება, რომელშიაც ჰბედავენ ამისთანა სიტყვების რახარუხსა და წერას. ჰკი-

---

ადამიანები-კი, ეს ქმნილებათა მეფენი, თავის-თავად აწვდიან თავის ჩამოსახრჩობ თოკის წვერებს ორფეხა მტაცებლებს. სკოლაზე, შვილების აღზრდაზე, სასოფლო დუქანზე ან სხვა ამისთანაზე რომ სიტყვა ჩამოუგდო, ათას ცილს დაგწამებს, კინაღამ მძარცველის სახელით მოგნათლავს და იმ დროს გულში იხუტებს ნამდვილს მძარცველს. ნეტავი რას უყურებენ ეს დალოცვილები? მგელი მგლობას თავის დღეში არ დააგდებს და, სანამ სხვის ამაგის მოტრფიალე ადამიანი არ გადაშენებულა, მარჯვედ უნდა გეჭიროს ჯიბეზე ხელი. აბა შეხედეთ, თუ ღმერთი გწამთ, ამისთანა კურთხეულ ქვეყნის პატრონი ერი ასე ბეჩავად უნდა სცხოვრობდეს? სთქვა მან, როცა წვერზე მოვექეცით ერთს მაღლობს, საიდგანაც ხელის გულივით მოჩანდა საკრეჭიას არე-მარე.

სამივე ჩრდილს ქვეშ წამოვწექით და სიამოვნებით ვათვალიერებდით ამ მაღლობის კალთებზე გაშლილს სოფლებს. გზის გაგრძობა გვინდოდა, მაგრამ თვალი ვერ მოგვეშორებია ამ გულის წარმტაც სურათისათვის. სამოთხისებურს სიამოვნებას გავემსჭვალე ტურფად მორთული ბუნების დანახვაზე, მაგრამ ის მოგონება, რომ ამ მშვენიერს მხარეში ასეთი უმეცრება და სიბეჩავე სუფევს, გველივით მიძვრებოდა მთელს არსებაში და სიტკბოებას მიშხამავდა. ათასნაირი ოცნებით გარემოცულს არც-კი გამიგია, როგორ ამოეცურებია ჩემი ჯიბიდგან კეთილაძეს სარევიზიო რვეული, მიმჯდარიყო მეორე ხის ძირში და რაღაცას სწერდა ამ რვეულში. მე მივვარდი რვეულის წასაგლეჯად, მაგრამ მას უკვე დაეწერა, რაც სურდა, რვეული შეკეცა დ სიცილით გარდმომცა. აქ შემდეგი ამოვიკითხე: „ნამსახურობითი სია საკრეჭიის მამასახლისის გელა ქლესიაშვილისა

საკრეჭის საზოგადოების მამასახლისი, გელა ქლესიაშვილი შობიდგან 70-ს წლისა ვარ მართლმადიდებლობას ვაღვიარებ; ქვრივი ვარ მეოთხე ცოლის შემდეგ. წერა-კითხვა არ ვიცი, მაგრამ ბევრი ნასწავლი გამიცურებია ყინულზე; დიდი ნამსახური ვარ ძველის ბატონების სახლებში; მამასახლისის კანდიდატად ამირჩიეს 1887-ს წელს. ნამდვილს მამასახლისს შარები მოვსდე, დანოსი შევიტანე და საწყალს ვირის აბანოში კი ამოაყოფინეს თავი, მამასახლისის ჯაჭვი კი მე გადავიცვი. მეტის მეტი მუყაითობა გამოვიჩინე ჩემს ხელობაში, თითით საჩვენებელი გავხდი მამასახლისთა შორის. სხვა მამასახლისებს რომ კანონიერი გარდასახადი უძნელდებოდათ, მე კანონიერთან უკანონო ბეგარაც ბევრი მივაყოლე. ყველაზედ ადრე შემაქვს ფოსტის ფული ხაზინაში. სხვა მამასახლისები რომ ეუბნებიან მთავრობას: სოფელი ღარიბია, სული არა აქვსთ მოსაბრუნებლად, ცოტა გვადროვეთ ფულის შეტანაო, მე სულ იმას ვეუბნები: სოფელი ღონიერია, ფულის მეტი რა აქვს გლეხებს, მაგრამ თავს იკატუნებენ, არ იმეტებენ და მუხრუჭი უნდა მაგათ მეთქი. ზოგი უფროსი გულისა და გრძნობის კაცია, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით უყურებს ჩემს მოხსენებას, მაგრამ იმას ხომ ვერ მეტყვის, ფული არ შეიტანოო ხაზინაშიო. რა საქმეებს არ ვშვრები! პეტრიას თხოვნით გზა გაუტარე პურაძეირს გოგიას სახლის კარებთან; ერთხელ ერთ ყაძახს ცხენი დაუჭირე, ორი თვე ვათრიე და როცა თორმეტის კაცის მოწმობა მომიტანა, ცხენი ჩავაბარე, მაგრამ ერთი ხუთი მანეთი მაინც შევაგლიჯე. ბევრი თუმანი ჩაცურებულა ჩემს ჯიბეში და მხოლოდ ერთი ათთუმნიანი დამადგა ყელზედ, მაგრამ არა უშავს რა; საქმე იმითი გათავდა, რომ ფული გარდავიხადე და ერთის კვირით ვირის აბანო ვიგემე, მაგრამ არც იმას დავუსვი იაფად, ვინც დამაბეზღა. ჩემს საზოგადოებაში არა გამომეპარებარა. გლეხმა რომ ფარულად არაყის გამოხდა დაპიროს, უეჭველად, გავიგებ, არაყს მე წამოვიღებ და ნახადს ქვაბს პატრონს დავუტოვებ, ასე რომ ჩემ სოფელში მე აკციზის მოხელეცა ვარ. ერთხელ დამშეულთა სასარგებლოდ სიმინდი მოვაგროვე და უმეტეს ნაწილს ჩემს ბეღელში ვუკარი თავი სიმინდის მაღაზიის გამართვაზედაც-კი დავიყოლიე საზოგადოება, სიმინდი ჩემს ჯორსა და ცხენს გამოვახვრევინე, სოფელი დაოსტატდა და ეხლა უარს ამბობს მაღაზიაზე. სამი შაურის საქმეზე რომ ასტეხოს ვინმე ბრიყვმა საჩივარი, სამი მანეთი ჩემს ჯიბეში ჩაიჩხრიალებს. აბა რას იზამ? როცა მსხვილი საქმე გაძვირდება, წვრილ-წვრილი საჩივრები უნდა გაბერო. საზოგადოებას ქამივით ვეჯავრები, მაგრამ რამდენიმე მარჯვე კაცის დახმარებით ისე ვატრიალებ საქმეს, რომ მესამედ მირჩევენ მამასახლისად. ბევრს საჩივარს დავალევინე ჩაილულის წყალი.

ცხავენ იმ დროს გატაცებისათვის, აღუსრულებელ იმედებისათვის. და გატაცება ხომ იმის ნიშანია, რომ საზოგადოებას სიცოცხლის ძალა აქვს; ამისათვის გაკიცხვა შეუძლებელია. დასცინიან „ახალ ნიავს“, 60 წლების „იდეალს“, რომელიც ყველასა სწამდა,—იმ იდეალის, რომელიც სიცოცხლეს უმატებდა სახელმწიფოს. ჩვენ გვარწმუნებენ, ვითომ ეს მავნებელია, რომ სახელმწიფოს ერთი იდეალი უნდა ჰქონდეს—წესრიგი. ჩვენ გვასწავებენ, უნდა დავუბრუნდეთ რეფორმების წინა დროსაო. თითქო ეს შესაძლებელია, თითქო ეს უგუნურება არ იყოს. კაცობრიობა უკან ბრუნდება, ის თანდათან წინ მიდის. ეს გარდუვალი კანონია. წეს-რიგი არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს იდეალად, რადგანაც იდეალი საბოლოო სურვილია და წეს-რიგი-კი საზოგადოების ცხოვრების პირობათაგანია, სასარგებლო და საჭიროც, ხოლო გარეგანი ცხოვრება ბევრჯერ ვერც-კი მოურიგდება ხოლმე წეს-რიგს... ამისათვის,—როგორც აქსაკოვმა სთქვა—საუკეთესო წეს-რიგი სასაფლაოზეა“.

—

სახელმწიფო საბჭო ამ მცირე ხანში განიხილავს კანონ-პროექტს შესახებ იმისა, რომ საგლეხო საადგილ-მამულო ბანკს მიენიჭოს უფლება ასესხოს ხოლმე ფული მამულის შესაძენად თავისუფალ გლეხთაც მე-2 ხარისხისას სამს დასავლეთ გუბერნიაში და აგრეთვე იმათაც, რომელნიც ჩაწერილნი არიან ქალაქის მოხარჯეთა შორის.

გაზეთი Пет. Вѣд. დიდად თანაუგრძნობს ამ კანონ-პროექტს, რომლითაც გაფართოვდება მოქმედება საგლეხო ბანკისა და ამბობს: სასურველიაო, რომ ამაზედ არ შეჩერდეს საქმე. არამედ ნება მიეცეს ბანკს დახმარება აღმოუჩინოს ყოველ წოდების კაცს, ვისაც-კი იმოდენა მამულის შეძენა უნდა, რომლის შემუშავებაც თვითონ შეუძლიანო.

გაზეთი თავის აზრს ამითი ასაბუთებს, რომ რუსეთში მრავალი არა გლეხიც მისდევს მეურნეობას და ხელ-მოკლეობის გამო დიდად გაჭირვებულიაო.

რაკი რუსეთში სამეურნეო სამინისტრო დაარსდება, უეჭველია, სამეურნეო საზოგადო დაწესებულებანიც მხნედ შეუდგებიან თავის საქმეს. სწორედ ამ აზრით მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემ თავ. შჩერბატოვმა მოხსენება წარუდგინა საზოგადოებას ისეთ საზოგადოების დაარსების შესახებ, რომელმაც უნდა იმოქმედოს მთელს იმპერიაში და უმთავრესი სამმართველო კი მოსკოვში იყოს. ამ სამმართველოში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მეცნიერნი და გამოჩენილნი მეურნენი.

ამაზედ გაზ. Недѣля ამბობს, რომ ამისთანა საზოგადოებას მაშინ შეუძლიან სარგებლობა მოუტანოს ხალხს, თუ რომ მხნედ იმოქმედებს სხვა-და-სხვა კუთხეს. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა საჭირო ცნობები მიაწოდეს საზოგადოების უმთავრეს სამმართველოს. თვით ამ საზოგადოების კრებათა დანიშვნა მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ ერთ-გვარობა ეტყობოდეს სამეურნეო საქმეს ყოველგან, ხოლო მაინც და მაინც მეურნეობის წარმატება ადგილობრივ თაოსნობაზედ არის დამოკიდებულიო.

## თეატრის მატიანე

—

ამას წინად პეტერბურგის თეატრში წარმოადგინეს ახალი კომედია ჟულ ლემეტრისა „Elipotte“. კომედია სამ მოქმედებიანია. შინაარსი აღებულია არტისტთა ცხოვრებიდგან.

ახალგაზდა ნიჭიერი ქალი ფლიპოტა პირველად თამაშობს სცენაზედ და პირველადვე საზოგადოებას ძლიერ მოსწონს. ფლიპოტას ამ გვარად ბედი ულიმის: დიდი ფული, სახელი, ბედნიერი ცხოვრება. ფლიპოტას უყვარს ერთი არტისტი ემილი. ემილი ვერაფერი არტისტია, მხოლოდ მეტად თავმოყვარე-კია და თავისი თავი დიდ არტისტად მიაჩნია. პატარაობისას ემილი ფლიპოტას სკოლაში აცილებდა და ხანდა-ხან ხილს უყიდდა ხოლმე. ფლიფოტას ემილი შეუყვარდა და თითონაც არ იცის, როგორ გაჩნდა ემილის ოთახში... მას შემდეგ ხომ ემილის ყურმოჭრილი ყმა არის და სულ იმას ჰფიქრობს, ჩემს ემილს მივთხოვდეო.

ახალგაზდა არტისტ ქალთან მოდიან გაზეთის თანამშრომლები და ქებადიდებით იხსენიებენ. აქვე მოდის ერთი მდიდარი ბარონი დეზალეტი, ეარშიყება ფლიპოტას და დიდძალ ფულსა ჰპირდება. ფლიპოტა უარზეა და ეუბნება, სხვა მიყვარსო დეზალეტი ამას მაინც არ ერიდება, შენი გათხოვება არას დაგვიშლისო. ბოლოს ფლიპოტასთან მოვა ანტრეპრენერი კურბუზანი პირობის ქაღალდის დასაწერად. ფლიპოტას კარგს ჯამაგირს აძლევს და მის საქმრო გმირსაც ჯამაგირს უმატებს.

ფლიპოტა ამ ამბავს ემილს უამბობს. ემილს ეხლა უფრო მეტად დიდ არტისტად მიაჩნია თავისი თავი; ფლიპოტას ეუბნება, ნებას გაძლევ ჩემის სიყვარულისას და შეიძლება ცოლადაც შევირთოვო.

მეორე მოქმედება სწარმოებს თეატრში, ფლიპოტას მოსართავ ოთახში. ლფიპოტას ქმარი ემილი ძლიერ ცუდადა თამაშობს თავის როლს და ლამის მთელი პიესა წაახდინოს. ფლიპოტა ისეც ვერ არის კარგ გუნებაზე და ამასთანავე შეიტყობს, რომ ემილი სხვა არტისტს ქალს ეარშიყება, ფლიპოტა უსაყვედურებს და ემილი ამას შემდეგ უფრო ცუდად თამაშობს. თეატრში ასტყდება ჩორჩქოლი, ემილს უსტვენენ და უკიჟინებენ. პიესის ავტორმა და თეატრის დირექტორმა არ იციან, რა ჰქნან. ემილი ტირის. ფლიპოტა მივა და ამხნევებს. ემილი ფლიპოტას წყალობით ეხლა კარგადა თამაშობს და ხალხი ტაშის ცემით აჯილდოვებს. გარემოება იცვლები. დირექტორი ეხლა თავს ევლება ემილს და იმის თავმოყვრეობასა და ამპარტავნობას ხომ საზღვარი აღარა აქვს.

მესამე მოქმედებაში სრულიად გამოაშკარავდება ემილის უხასიათობა და ამაყობა. ემილი ამბობს, ფლიპოტას სიყვარული და ერთგულება მიშლის კარგად თამაშობასაო. ფლიპოტა მხოლოდ ეხლა მიხვდება, როგორ კაცს გაჰყვა მეუღლედ და თავს ანებებს. ემილი ამისთვის არა ჰდარდობს. ბოლოს ფლიპოტასთან მოვა მოხუცი ბარონი და თავის თხოვნას განუმეორებს. ფლიპოტა დასთანხმდება და ბარონს წაჰყვება.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** არც ერთხელ 1877 წ. აქედ პარლამენტის სესსია ისეთის დიდის ამბით არ დაწყებულა, როგორც ეხლა. არაოდეს საფრანგეთის პალატაში ისეთი თანაგრძნობა არ გამოთქმულა უცხო ხალხისა და მეფისადმი, როგორც ეხლა; არაოდეს ისე არას აუღელვებია და აღტაცებაში არ მოუყვანია, როგორც ეხლა პრეზიდენტის სიტყვას სენატი და პრეზიდენტისავე სიტყვას პალატა, რუსეთის ესკადრის მოსვლისა და მეფის დეპეშისა გამო კარნოსთან. ეს დღე, ორგვარად შესანიშნავი, დიდხანს დარჩება ხსოვნაში.

—

საზღვარ გარედ დაიბეჭდა ერთი წერილი სათაურით „L' Europe dé livre“. ამ წერილის ავტორი ამბობს სხვათა შორის:

რუსეთს განზრახვა აქვს დიდი ზარი გაუგზავნოს საფრანგეთს; ამ ზარს Notre Dame-ის კოშკში ჩამოჰკიდებენ. იმპერატორი ვილჰელმ მეორე ძლიერ კარგს იზამს, ერთი ნაწილი ზარბაზნებისა გასწიროს ამ ზარის ჩამოსასხმელად, რომელიც იქმნება ნიშანი ევროპის მშვიდობიანობისა.

—

ვენის გაზეთი „Politische Correspondenz“-ი სწერს:

თუმცა რუსეთისა და გერმანიის დელეგატებს სურთ, მალე გაათავდეს მოლაპარაკება სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც არ ითქმის, მალე გათავდება ეს მოლაპარაკება თუ არა. რუსეთის დელეგატები დიდს ყურადღებას აქცევენ გერმანიისა და რუმინიის სავაჭრო ხელშეკრულობას და ამტკიცებენ, გერმანიამ მეტად დასწია ტარიფი რუმინიის პურისათვისაო. ამაზედ შეგვიძლიან თამამად ვსთქვათო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, რომ რუმინია ვაჭრობაში არაოდეს არ მოქცეულა ისე, როგორც რუსეთი მოიქცა და არავითარ საქონლის გატანა არ აუკრძალავს გერმანიაში. რუმინიის საზღვრები მუდამ ღიაა გერმანიის საქონლისათვის. სწორედ ამ მიზეზის გამო რუსეთიც ასე უნდა მოქცეულიყო, გაეუქმებინა ბრძანება, რომლის ძალითაც აღკრძალულ იქმნა გერმანიიდგან რუსეთში საქონლის შეტანა და ცოტათი მაინც გაეხსნა რუსეთის საზღვრები გერმანიის საქონლისთვის.

## გასართობი

—

ერთმა კაცმა სთქვა: „როცა რომელსამე სისულელეს ვიტყვი, ან ჩავიდენ, პირველად მევე გამეცინება ხოლმეო“.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარო, უპასუხეს, მთელს შენ სიცოცხლეს სიცილში გაატარებო.

—

ერთმა მოხუცმა ლამაზი და ახალგაზდა ქალი შეირთო.

— ძლიერ მებრალებიო, უთხრა ქმარს ერთმა მეგობარმა.

— მე რა მაქვს შესაბრალისიო,—უპასუხა ქმარმა; სჯობს ჩემი მეუღლე შეიბრალო. მე ყოველთვის თვალწინ მიდგას ახალგაზდა ცოლი, რომელიც ძლიერ მიყვარს, და იმას კი ისეთი ქმარი ჰყავს, რომელიც ეჯავრება.

—

ვიღაცამ თავისი ტრაგედია ვოლტერს გაუგზავნა და სთხოვა, ამ ტრაგედიაზედ შენი აზრი შემატყობინეო. ვოლტერმა პიესა წაიკითხა და ზედ დააწერა: ასეთის პიესის დაწერა ისე ძნელი არ არის, როგორც თქვენის თხოვნის ასრულება და პასუხის მოცემაო.

—

ერთს კაცზედ ლაპარაკობდნენ, ძლიერ უბედური არისო.

— დიაღ, ისე უბედურიაო,—სთქვა ნაპოლეონმა,—პირ-აღმა რომ დაეცეს, მაშინაც ცხვირს გაიტეხსო.“

## გამოსადეგი ცნობა

—

მელნის ლაქის ამოყვანა. თუ მელანი ახლად დასხმულია ბამბეულს ან ტილოს ქსოვილს, ჯერ უნდა კარგად გამორეცხოთ ცხელის წყლითა და საპნით. შემდეგ მცირეოდენი (ერთი წილი ას წილ წყალზედ) გოგირდისა ანუ მარილის სიმჟავე *)ჩაურიეთ და ამ წყალში ჩაასველეთ დალაქავებული ქსოვილი.

თუ დიდიხნის დალაქავებულია, მაშინაც უნდა გამოირეცხოს ქსოვილი და ამავ წამლით უნდა დასველდეს, ხოლო ეს წამალი მეტი უნდა გაიხსნას წყალში (ერთი წილი სიმჟავე 10 წილ წყალზედ).

ამ წამლის მაგიერ შეიძლება იხმარონ მჟაუნის სიმჟავე.

რა თქმა უნდა, რომ ეს წამლები მაშინ არის გამოსადეგი, თუ ქსოვილი თეთრია, შეუღებავი. თორემ შეღებილ ქსოვილს დასახელებული სიმჟავეები სულ გაახუნებს.

*) Сѣрная или соляная кислота.

სხვა რომ ვერლა იღონეს-რა, ეხლა რაღაც ვექილები დამინიშნეს, მითომ და ანგარიშის გასაწმენდად, მაგრამ ერთი ვნახოთ, რას დამადებენ, და კიდეც რომ დამადვან რამე, კი აიღებენ? ის-კი არ იციან, რომ ჩემი ქონება სხვაზე მაქვს გადაცემული. რაც მამასახლისად ამირჩიეს, მას აქედ ჩემს ოჯახს ბლომად აქვს: სიმინდი, ღომი, ღვინო, ჩალა და სხვა; ჯიბეში ფული არ მელევა. მწერალი ხშირად შემხვდება ჩემის გულისა, მაგრამ ამ „უჩიტლებს“ ვერ მოვეწყვე, არ იქნა; სამაგიეროდ ბარე სამს ავაკრებინე საგზალ-ბარგი, ერთს სრულის ორის თვის ჯამაგირიც-კი „შეუტკვირე.“ სხვები აორკლასიანებენ სკოლას და მე, თუ ღმერთი შემეწია, ამ ერთ-კლასიანსაც მალე გამოვუკეტავ კარებს; სკოლა რაღაც ჭკუაში არ მომდის; ბავშვები ახირებულს არაკებს სწავლობენ იქ, მაგრამ სანამ ისინი „მგლისა და კრავის“ ამბავს გაიზეპირებდნენ, მე ჩემსას ვიქ.“

— კაცო, ეს რა გითამაშია? დავეკითხე კეთილაძეს.

— ქლესიაშვილმა მთხოვა ნამსახურობის სიის შავის შედგენა, ქაღალდი არ დამირჩა და შენი რვეული გამოვიყენე შავად, სიცილით მითხრა მან.

— კი მაგრამ შენ თუ ოხუნჯობის სალერღელი აგეშალა ჩემს რვეულს რად ემსახურები?

— გირჩევ შენც შენიშვნა უძღვნა ამას.

კეთილაძის ოხუნჯობამ უნებურად გამოიწვია ჩემს რვეულში შემდეგი შენიშვნა. კეთილაძე დინჯი კაცია, წინდახედული; ამის ოხუნჯობაც-კი მთლად მართალია. ქლესიაშვილი ამის ფანტაზიის ნაყოფი ხომ არ არის. მეც საბეჩაოში მოგზაურობის დროს ბარე ორი მინახავს ასეთი მამასახლისი. ნეტავი-რას მოუჯადოებია ზოგი სოფელი? სხვები განვითარებულს და პატიოსან კაცს ირჩევენ მამასახლისად: ისეთს კაცებს ავალებენ სოფლის პატრონობას, რომელთაც ერთხელვე დასჩემებიათ სოფლის გულშემატკივრობა, რომელნიც ყოველს სასიკეთო საქმეს მხარს აძლევენ, ჰქომაგობენ, რომელთაც ახარებს სოფლის ყოველი წალმა წადგმული ბიჯი და იმ დროს ზოგი სოფელი-კი ქლესიაშვილისებურს კაცზე იტეხს ფეხს. რად ეპყრობიან ეს დალოცვილები ასე მათდამი მინიჭებულს უფლებას, რატომ ასჯერ არ გაზომვენ, და ერთხელ არ გასჭრიან, სანამ მგელს დაიყენებდნენ მწყემსად? სხვა რომ არა იყოს-რა, სირცხვილი არ არის ხუთასისა და ექვსასის კომლის რჩეული, გაიძვერა ვინმე იყოს? ან ეს რჩეული რა უკუღმართს ვარსკვლავზე დაბადებულა, რომ ასე უსინიდისოდ ეპყრობა უდიდესს ჯილდოს—საზოგადოების ნდობას? ზოგი მამასახლისი თუ ყოველდღე ეკითხება თავის-თავს: რამდენად გავამართლე საზოგადოების ყურადღებაო, რა იქმნება, რომ ქლესიაშვილი სამის წლის შემდეგ მაინც დაეკითხოს თავის-თავს: რა ვაკეთეო? რა იქმნება, რომ სამის წლის შემდეგ ერთხელ მაინც გადაავლოს თვალი თავის ნამოქმედარის შესახებ მსხვილის ასოებით აღბეჭდილს სიტყვებს: „სკოლას ხელს უშლიდი და მით ახალთაობას, სოფლის იმედს ჰლალატობდი; ბევრი უენო და ბრიყვი დასჩაგრე; ბევრი ცრემლი აფრქვევინე ქვრივსა და ოხერს; ბევრს ბეჩავს მოსახლეობა მოუშალე, გროშის გულისთვის გზა გაუტარე სახლის კარებთან უფრო შეძლებულის მეზობლის თხოვნით, იმ დროს, როცა საზოგადო გზაზე უხიფათოდ გავლა შეიძლებოდა და სვა-და-სხვა?“ რა იქნება, რომ სამს წელიწადში ერთხელ მაინც დაეკითხოს სინიდისს და, თუ მის მამასახლისობას ზარალის მეტი არაფერი მოუტანია, იმდენი სიმარჯვე მაინც იხმაროს, რომ ხელ-მეორედ აღარ ჩააფრინდეს ამ ხელობას რას უნდა მიეწეროს ამომრჩევლების ასეთი წინდაუხედაობა და ამორჩეულის ამ ზომამდმდე სინიდისიდგან გასვლა? მიზეზი ბევრგვარია და უმთავრესი-კი ორივე მხრის უგუნურებაა, უმეცრება. ყოველდღე იწერებიან: აქ სკოლა გამართეს, იქ სამკითხველო; ამდენი მოსწავლეა, წიგნებს ჰკითხულობენ, ჟურნალ-გაზეთებს იწერენ, აზროვნობენ, გონებას ამუშავებენო, მაგრამ მაინც არა გვეშველა-რა არ გადიყარა ნისლმა, არა ეშველა რა ამ გონების სიბნელეს. განა ცოტაოდენი სიფხიზლე რომ იყოს სოფლად, თვალის ჩინი რომ არ გვაკლდეს, უკუღმართს მოვლენას-კი ექნებოდა ადგილი სოფლის ცხოვრებაში? სინათლეში გაბედავდა განა ქლესიაშვილი სოფლის პატრონად გამოსვლას? რა თქმა უნდა ვერა. ამას შემდეგ რაც უნდა სასიამოვნო ამბები გვწერონ სოფლებიდგან, ჩემს გულს მაინც არ სწამს განთიადის მოახლოვება; ის ისევ ამომძახის პოეტის მეტად მგრძნობიარე გულიდგან ამონაკვნესს სიტყვას:

„ამად ვსწუხობ საწუთროსა,
სულ ბნელია, რასაც ელავს“.

შუბნელი

# დეპეშა

8 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** Новое Время-ს თაოსნობით, დაათვალიერეს ზღვის ის ადგილები, სადაც შესაძლოა „რუსალკა“ დაღუპულიყოს; ჰფიქრობენ, რომ ეს გემი დაიღუპებოდა ესრედ წოდებულ „ბალკანიის“ მიდამოში, სადაც ზღვა ღრმა არ არის, 7 ვერსის მანძილზედ „სედერშერიდგან“.

გუშინ გრაფ დელიანოვის თანა დასწრებით პირველი კრება იყო ახლად დაარსებულ საზოგადოებისა, რომელსაც აზრადა აქვს ხელი შეუწყოს ბავშვთა ფიზიკურად აღზრდას. წევრთა რიცხვი 150-ზედ მეტია. დაარსდა მუდმივი კომისია სატეხნიკო სწავლა-განათლებისა.

9 ნოემბერი.

**ვლადიკავკაზი.** დაიწყო დროებით მისვლა-მოსვლა მატარებლებისა პეტროვსკის რკინის-გზაზე გროზნიდამ პეტროვსკამდე.

პერბურგის ბირჟა, 26 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,66 | 7,62 | —,, |
| ტამოჟნის კუპონები | 151 | $152\frac{3}{4}$ | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | —, | —,, | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | —,, | —,, | 244 |
| —მეორისა . . . | 218 | —,, | —,, |
| 4% მესამე სესხისა. . | —,, | —,, | —,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | —,, | —,, | $193\frac{1}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . | 100 | —,, | —,, |
| 5%. . . . . | —,, | 99 | —,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 100 | —,, | —,, |
| 5%. . . . . | —,, | 99 | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | —,, | —,, | 98 |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### იმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ და შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვორო სსისკით და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ და ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

—

# განცხადებანი


**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ გამგეობაში არის დანიშნული 22 ამა ნოემბერს ვაჭრობა იჯარით გასაცემად ქალაქის ახალი საყასბოსი თანახმად გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვისა 26500 მანეთად.

მსურველთ შეუძლიანთ გაეცნონ ხარჯთ-აღრიცხვასა და გეგმას კანცელარიაში ყოველ დღე დილის თერთმეტ საათიდამ ნაშუადღევის ორსაათამდე.

(3—3)

დაიბეჭდა ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძისაგან და ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

მართა, მოთხრობა ანტ. ფურცელამისა . . . . 40 კაპ.

ჩვენებური საქმის ბოლო, მისივე . . . . . 20 კაპ.

ლექსნი, თქმულნი მის. გორდამის-მიერ . . . 15 კაპ.

(3—0—3)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.






„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიაში** ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმ მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |

—

**მღვდელი სვიმონ ფილიპეს ძე ჟიფშიძე და მეუღლე მისი,** აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს, 13 ნოემბერს გარდაცვლილ იქმნება ნახევარ-წლის წირვა და პანაშვიდი შვილისა მათისა **ანდრია სვიმონის-ძის ჟიფშიძის** სულის მოსახსენებლად, სთხოვენ მობრძანდნენ სოფ. შინდისს წირვასა და პანაშვიდზედ დასასწრებლად.

(1—1)

## გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ყ. მ. ჩიქოანი,** 9—$10\frac{1}{2}$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** $10\frac{1}{2}$—$11\frac{1}{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

**ი. ფ პროტასევიჩი,** $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი $12\frac{1}{2}$—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—$1\frac{1}{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი,** 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. გურკო,** 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი,** 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## „ჩ ი კ ა გ ო“

წინანდელი სასტუმრო „დ ა ნ ი ა“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად „**ჩიკაგო**“

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

### ფასი ოთახებისა

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. კოსკანოვი

(25—1018—12)



**Въ Б. Жуковскій** С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა

ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель **А. Брокгаузенъ**

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები სურველს საჩქაროდ გაეგზავნება.